



რელიგიის სწავლების საჭიროებაზე

21 სექტემბერი
2022 წელი



ისტორიისა და თეოლოგიის მაგისტრი ლევან ბუკია

1. რატომ უნდა ისწავლებოდეს საჯარო სკოლებში „რელიგია“?
2. რელიგიის მასწავლებელი
3. სხვა აღმსარებლობები და რელიგიის გაკვეთილი
4. რელიგიის ისტორიის გაკვეთილები როგორც „ბიბლიური ისტორიის“ გაკვეთილები
5. რელიგიის ისტორიის გაკვეთილები როგორც ცივილიზაციის ისტორიის გაკვეთილი
6. მართლმადიდებლობა როგორც ცივილიზაცია
7. რელიგიური განათლება ევროპული განათლების სისტემაში
8. რელიგია და ეთიკა
9. ეკოლოგია და თეოლოგია
10. რელიგია და ჯანმრთელობა
11. რელიგია და ეკლესია
12. რელიგიის გაკვეთილი და ადამიანის უფლებები
13. ძირითადი დასკვნები

რატომ უნდა ისწავლებოდეს საჯარო სკოლებში „რელიგია“?

კითხვები რომლებიც რელიგიის სწავლების საჭიროების შესახებ საუბრისას ჩნდება, შეიძლება ასე ჩამოვყალიბოთ:

რა არის რელიგია?

რატომ უნდა ისწავლებოდეს ის სკოლაში?

სავალდებულოა თუ საჭირო რელიგიის სწავლება სკოლებში?

არ უნდა ისწავლებოდეს არც ერთი რელიგიის შესახებ სკოლებში და თავად ახალგაზრდამ აირჩიოს რა სურს და როგორ, როცა ჩამოყალიბდება?!

იყოს საგანი მაგრამ არა სავალდებულო, არამედ არჩევითი.

ამ საკითხზე მსჯელობისას ეკლესიის პასუხი იყო და არის შემდეგი. ეკლესიისთვის სავალდებულო, სიტყვა არ არსებობს, რადგანაც ის გულისხმობს ვალდებულებას ანუ დავალებას და ზეწოლას ზემოდან. ეკლესიისთვის არსებობს საჭირო. საჭიროა რელიგიის გაკვეთილები მოსწავლეთათვის, რადგანაც აქ მოსწავლეები იძენენ ცოდნას ისეთ ღირებულებებზე, ეთიკურ საწყისებზე, ზნეობრივ ნორმებზე, რომლებიც არ ისწავლება სხვა გაკვეთილებზე და რომლებიც ცხადია მნიშვნელოვანია, მოზარდის მართებულად ჩამოყალიბებისათვის.

რელიგიის უმთავრეს როლთან განსაკუთრებით გამოყოფენ მის როლს სამი მიმართულებით:

ა. თანამედროვე „საინფორმაციო ქაოსის“ (N.Postman-ნილ პოსტმანი, 1931-2003, ამერიკელი მეცნიერი, მედია თეორეტიკოსი და კულტურის კრიტიკოსი) ეპოქაში, როდესაც ცხოვრების არსის შესახებ ურთიერთგამომრიცხავი მოსაზრებები გვესმის, როდესაც ადამიანის ცხოვრება გაუფასურებულია, სწორედ რელიგია იძლევა პასუხს არსებობის შესახებ მარადიულ კითხვებზე. „რელიგია იგერიებს და უმკლავდება ცხოვრებისა და სიკვდილის საიდუმლოს და ცდილობს პასუხი გასცეს ისეთ კითხვებს რომლებიც შეეხება მხოლოდ ადამიანურ სულს: ვინ ვარ მე? საიდან მოვდივარ? სად მივდივარ? სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ რელიგია იძლევა პასუხებს კითხვებზე ღმერთის, ცხოვრების, გარდაცვალების შესახებ. ვინ არის ადამიანი? რა არის აზრი და მიზანი ჩვენი ცხოვრების? რა არის სიკეთე და ბოორტება? საიდან მოდის ტკივილი და რა არის მისი აზრი? რა აზრი აქვს ტკივილს? რომელია გზა ჭეშმარიტი ბედნიერებისაკენ?

ბ. მეორე მნიშვნელოვან მხარეს, რომელსაც გამოყოფენ რელიგიის როლთან დაკავშირებით, არის კაცობრიობის სულიერი მემკვიდრეობა, კულტურა რომელიც რელიგიურ ტრადიციებში იქნა შემონახული. სწორედ რელიგიებში იქნა დაცული კულტურისა და მეცნიერების მიღწევები, რომლებიც საფუძვლად დაედო ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებს. რელიგიასთანაა დაკავშირებული ამა თუ იმ ეთნოსის კულტურული რაობა. „კულტურები განსხვავდებიან ისტორიით, ენით, ტრადიციით და ყველაზე მეტად კი რელიგიით. ვეკუთვნი რომელიმე რელიგიას, ნიშნავს ვეკუთვნი რომელიმე კულტურას. ცოდნა „სხვისი“ რელიგიისა და სწორი შეფასება ზოგადად რელიგიური ფენომენისა, არის წინაპირობა „სხვისი“ გაგებისათვის.

გ. რელიგიის მნიშვნელოვან როლს გამოყოფენ მსოფლიოში მშვიდობის საკითხთან დაკავშირებით. ეს არის რელიგიის პასუხისმგებლობა მსოფლიო მშვიდობაზე. მსოფლიო პატრიარქი ბართლომეოს პირველი ამბობს: „ომი რელიგიის სახელით არის ომი რელიგიის წინააღმდეგ“. თუკი დღევანდელ ეპოქაში შესაძლებელია რელიგიის განახლება თავის ჭეშმარიტ თვისებებში, ეს უნდა ნიშნავდეს რელიგიის ძალის გაძლერებას მშვიდობისათვის ბრძოლაში, თავისუფლებისათვის და სამართლიანობისათვის.

რელიგიის სწავლებასთან დაკავშირებით შეიძლება გამოვყოთ შემდეგი საკითხები.

ა. რელიგიური ფენომენის არსი მრავალმხრივია და გამორჩეულად რთული. იმისათვის რომ ირწმუნოს ვინმემ, საკმარისია ისტორიაში ჩაიხედოს და ნახოს რელიგიის შესახებ თქმული დიდი ფილოსოფოსებისა თუ ცნობილი ადამიანების მიერ. დადებით შეფასებებთან ერთად არის ბევრი უარყოფითი კუთხით თქმული რელიგიაზე. ადამიანურმა ლოგიკამ იხილა ღმერთი რომელიც არის ადამიანური წუხილის მატარებელი, ნახა რელიგია როგორც „ოპიუმი ხალხისა“, როგორც „ბავშვური ავადმყოფობა“, როგორც „მსოფლიო ნერვოზი“, და ისაუბრა კიდევ „ღმერთის სიკვდილზე“.

ბ. მეორე საკითხი, ბავშვის რელიგიური აღზრდასთან, უკავშირდება ბავშვის განვითარების განსაკუთრებულობას. რთულია ბავშვის ფენომენი და უფრო რთულია მასთან პედაგოგიური გამკლავება.

სკოლა, რომელიც არის ადგილი ბავშვის აღზრდის, თუ ის გადაიქცევა მხოლოდ ინფორმაციის გადაცემის ადგილად, განწირულია ბავშვისთვის ბავშვობის წასართმევად.

გ.არსებულ სირთულეებს განეკუთვნება ასევე ის სინამდვილე, რომლებიც კომუნისტური წყობილებების დაშლის შემდეგ გაჩნდა. ასეთებია: პლურალიზმი, ტექნიკური პროგრესი და სხვა. „დღევანდელი ეპოქა ირეკლავს შესაძლებლობების სიმრავლეს და ამასთან დაფარულ საშიშროებებს. დიქტატორული წყობილებების დაუძღვრებამ წარმოშვა ახალი ტალღა თავისუფლებისა, რომელიც გამოიხატება ოჯახური სიმტკიცის დარღვევაში, კავშირებისა და ჯგუფების დაშლაში. პლურალიზმი, რომელიც ადამიანს აძლევს განვითარების შესაძლებლობას. სკოლა ვალდებულია მისცეს ბავშვს რელიგიური აღზრდა, რადგანაც ის საჭიროა მისი პიროვნული ზრდისკენ, მისი მომწიფებისათვის, მისი ეთიკური და საზოგადოებრივი განვითარებისათვის. იმისათვის, რომ ცხოვრების აზრი შეიცნოს, მოემზადოს იმ გამოწვევების დასაძლევად რასაც მას დრო და ეპოქა შესთავაზებს და დაიმკვიდროს ადგილი საზოგადოებაში.

რელიგიის მასწავლებელი

რელიგიის როგორც საგნის სწავლებასთან დაკავშირებით ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია მასწავლებლის საკითხი. ვინ უნდა იყოს ის ვინც უნდა ასწავლოს რელიგია? უპირველეს ყოვლისა რელიგიის პედაგოგი თვითონ უნდა იყოს ისეთი ადამიანი, რომელმაც თვითონ ისწავლა შეკითხვების დასმა სიცოცხლისა და სამყაროს არსებობის აზრის შესახებ. რელიგიის მასწავლებლისათვის საკუთარი რწმენა და რელიგიურობა არა მარტო ობიექტია, არამედ სტანდარტიც. ეს მას ხელს არ უშლის, პატიოსნად და გულმოდგინედ გაეცნოს სხვების პოზიციებსა და მოსაზრებებს.

მასწავლებელი, რომელსაც საკუთარი სარწმუნოებრივი პოზიცია არ გააჩნია, ვერ შეძლებს მოსწავლეებისათვის იმის მიცემას, რაც მას ამ სფეროში ევალება. მასწავლებელი არა მარტო სავსებით უნდა აღიარებდეს მოსწავლეების პიროვნულ თავისუფლებას, არამედ მზადაც უნდა იყოს, ღიად და გაგებით შეხვდეს მათ მიერ დასმულ შეკითხვებს.

სხვა აღმსარებლობები და რელიგიის გაკვეთილი

სხვადასხვა ხალხის რელიგიური ტრადიციები არის სალარო ჭეშმარიტი ცოდნისა, ადამიანური ღირსების შესახებ ცოდნის შემნახველი. იმის შესახებ თუ ვინ არის ადამიანი, ვალდებულები ვართ სერიოზულად შევხედოთ რელიგიის გაკვეთილს, გავაცნოთ მოსწავლეებს სხვადასხვა რელიგიურ ტრადიციებში არსებული ცოდნა სამყაროზე, ადამიანზე, ცხოვრების აზრზე და გავიგოთ რამდენად რთულია და ალბათ ყველაზე რთული ეს გაკვეთილი ყველა სხვისაგან, და რომ არ დავიშუროთ შრომა მისი უკეთესი ორგანიზებისთვის.

რელიგიის ისტორიის გაკვეთილები როგორც „ბიბლიური ისტორიის“ გაკვეთილები

ჩვენს სინამდვილეში, საქართველოში არ შეიძლება არ აღვნიშნოთ საქართველოს ისტორიაში ქრისტიანობის და მართლმადიდებლობის განსაკუთრებული როლის შესახებ. ცხადია ეს არავითარ შემთხვევაში არ უშლის ხელს სასკოლო სივრცეში მოსწავლეებს სხვა რელიგიებზე მივაწოდოთ ინფორმაცია და ცოდნა.

რატომ შეიძლება იყოს სასარგებლო ბიბლიური ისტორიის შესწავლა საჯარო სკოლის ყველა საფეხურზე?

დღევანდელი საზოგადოების უმთავრესი პრობლემაა კარჩაკეტილობა. ჩაკეტილი საზოგადოების პრობლემა კი ის არის, რომ ადამიანებს არ აინტერესებთ ერთმანეთი. არ ურთიერთობენ და ამდენად ეს არის მართლობისთვის განწირული საზოგადოება, ამიტომაც არის ჯოჯოხეთი აქვე, ჩვენში, შიგნით. აქ უნდა ვიპოვოთ, ვნახოთ ადგილი ბიბლიური ისტორიისა და თეოლოგიისა, რომელიც როგორც მეცნიერება სწავლობს ადამიანს ქრისტიანობის საფუძველზე. ანოტაცია საღმრთო გამოცხადებაზე არის სწორედ ბიბლიური ისტორია.

რელიგიის ისტორიის გაკვეთილები როგორც ცივილიზაციის ისტორიის გაკვეთილი

ისტორიულად რელიგია იყო ძირითადი მამოძრავებელი ძალა ცივილიზაციათა აღმავლობისა და ეს დღესაც შენარჩუნებულია მსოფლიოს მრავალ კუთხეში. დღეისათვის ცნობილი ცივილიზაციები რელიგიური ნიშნით არიან აღბეჭდილნი. არცერთი ცივილიზაცია ამისგან არაა თავისუფალი. რელიგიები სცემდნენ პასუხს ინდივიდუალური თუ კოლექტიური არსებობის, კარგისა და ცუდის, ღამაზისა თუ მახინჯის, ჭეშმარიტებისა თუ ტყუილის შესახებ. შეგვიძლია ვთქვათ, რომ რელიგია არის გული ცივილიზაციისა. რელიგიის გაკვეთილი არის ერთის მხრივ გაკვეთილი ცივილიზაციისა რაც პედაგოგისაგან განსაკუთრებული ყურადღების მიქცევას ითვალისწინებს. ეს კი გულისხმობს შემდეგს:

ა. რადგანაც რელიგიის გაკვეთილი გულისხმობს და მიემართება ჩვენს შემთხვევაში ქრისტიანულ (მართლმადიდებლურ) რწმენას, უპირველესად ეს არის გაკვეთილი განსაკუთრებული ცივილიზაციისა, და ჩვენი ცხოვრების წესისა.

რელიგიის გაკვეთილზე გვეძლევა მთავარი ელემენტები ჩვენს ცივილიზაციაზე, ღირებულებებზე, სულზე, ურთიერთობაზე, ხელოვნებაზე, ცხოვრების წესსა და ადათზე.

ბ. თუკი ძალაშია, რომ ქრისტიანობა უწყვეტად დაკავშირებულია ევროპულ ცივილიზაციასთან, თუკი ევროპის ისტორიულ მსვლელობაზე ახდენს გავლენას მაშინ ძნელია ევროპული ცივილიზაციის წარმოდგენა ქრისტიანობის გარეშე. რელიგიის გაკვეთილი არის გაკვეთილი ევროპული ცივილიზაციისა, სადაც ხდება გაცნობა ევროპული ცივილიზაციის უმთავრესი სტადიებისა და აქვე ხდება გაცნობიერება ქრისტიანობის გავლენისა ევროპული ცივილიზაციის ჩამოყალიბებაზე.

გ. რელიგიის გაკვეთილი ეს არის გაკვეთილი „კაცობრიობის ცივილიზაციის შესახებ“, ტოლერანტობისა და მშვიდობის. რომელიც არა მხოლოდ ამყარებს მშვიდობას რელიგიებს შორის, არამედ იბრძვის ფანატიზმის წინააღმდეგ, ხაზს უსვამს პატივისცემას ადამიანებს შორის, ღირსების შენარჩუნებას და ადამიანის უფლებებს.

მართლმადიდებლობა როგორც ცივილიზაცია

მართლმადიდებლობა ჩვენ გვაერთიენებს არა რაღაც „ჯოგში, ფარაში“ არამედ თავისუფალი ადამიანების საზოგადოებაში, პიროვნებათა საზოგადოებაში. მისი უმთავრესი ამოცანაა ცხოვრების წესის შემოთავაზება. პიროვნული და არა ინდივიდუალური, რადგან პიროვნება და ინდივიდი არ არის იგივე. არამედ ალბათ საპირისპირო. ინდივიდი არის ის ვინც მოიაზრებს და გულისხმობს მხოლოდ თავის თავს, რომელიც მარტოობისთვისაა განწირიული. პიროვნება კი მხოლოდ სხვასთან ურთიერთობაში არსებობს. როდესაც პიროვნების თავისუფლება გაიგივებულია სიყვარულთან, გამოსვლას „მე“ დან „შენ“ ისკენ, როდესაც პიროვნება ეძებს კავშირს და ურთიერთობას სხვასთან, მაშინ არ დგება საკითხი გამოყოფისა. ამ შემთხვევაში ყალიბდება ცივილიზაცია ჯანმრთელი საზოგადოებისა, სადაც ყვავის პიროვნების თავისუფლება.

მართლმადიდებელი, მეგობარი, ურთიერთობის მქონე, ღია, მსოფლიო ადამიანი, ადამიანი ზოგადად ადამიანური ღირსებით, თავისუფალი ეგოიზმისგან.

მართლმადიდებლობის გული ფეთქვას მამათა თეოლოგიაში. ი. ზიზიულასი (პერლამოსის ეპისკოპოსი) წერს: „რომ მართლმადიდებლობა არ წარმოადგენს წარსულის ნარჩენს, სამუზეუმო ექსპონატს, როგორც მიღწევას და წარმატებას სხვა ეპოქისა“.

რელიგიური განათლება ევროპული განათლების სისტემაში

რელიგიის გაკვეთილებში წარმოჩნდება ზუსტად ის საფუძვლები, რომელსაც ეფუძნება ევროპული ცივილიზაცია და რომელიც გადაჯაჭვულია ქრისტიანობასთან. ქრისტიანული ტრადიციის სწავლებით სკოლებში, ცხადია მოსწავლეები ეცნობიან იმ უმთავრეს ღირებულებებს რაც ევროპული ცივილიზაციის მახასიათებელია.

დღეს არ შეიძლება ევროპული რელიგიური განათლება მიემართებოდეს, ევროპული ცივილიზაციის მხოლოდ ქრისტიანულ მემკვიდრეობას, არამედ მზად უნდა იყოს იმ გამოწვევისათვის რასაც დღევანდელი რეალობა ითვალისწინებს, კერძოდ ის უნდა მოიცავდეს აწმყოს და მომავალს ევროპისას, დაცვას ევროპული ღირებულებებისას, მულტიკულტურულ და შეიძლება ითქვას მულტირელიგიურ, პლურალურ სამყაროში. საკითხი არ უნდა იყოს ისე, რომ რელიგიის გაკვეთილი იყოს საშუალოდ, ზოგადად ინფორმაციის მიწოდება რელიგიაზე, არამედ გაკვეთილი რელიგიებზე, საფუძველზე ცოცხალ, კონკრეტულ, არსებულ რელიგიებზე, ჩვენს შემთხვევაში გაკვეთილი მართლმადიდებლური სახისა მისი სინათლითა და ღიაობით. ეს განვრცობა და ინფორმაციულობა არ გადააქცევს ამ საგანს ბუნებრივია რელიგიათმცოდნეობის გაკვეთილად.

რელიგია და ეთიკა

ეკლესიის გამოცდილების გარეშე შეუძლებელია ვინმემ შეძლოს ეთიკური რჩევებისა თუ მითითებების ცხოვრებაში განხორციელება. ქრისტიანული ეთიკა ეს არის შედეგი ქრისტიანული ცხოვრების წესისა და შედეგი ქრისტიანული დოგმატიკისა და არა მიზეზი ცხოვრების წესისა. სხვაობა ცხოვრების წესსა და ეთიკურ ნორმებს შორის არის ის, რომ კანონები შეიქმნა და დადგინდა სწორედ იმისათვის რომ ჭეშმარიტ რწმენაზე დაფუძნებული ცხოვრების წესის აღსრულებაში დაეხმაროს ადამიანს, ანუ ცხოვრების წესი უკეთესად იცხოვროს (განახორციელოს) ადამიანმა.

ქრისტიანობამ ისტორიაში რაღაც ახალი რამ კი არ მოიტანა, არამედ ის რაც ცნობილი იყო ძველი აღთქმისათვის და რაც რამ კი იჭვრიტებოდა და იწინასწარმეტყველებოდა წინასწარმეტყველთა მიერ, ანუ ეს იყო სწორედ რწმენა ეკლესიისა.

შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეთიკა ეს არ არის რაღაც ავტონომიური რამ ქრისტიანობაში, სადაც საზოგადოების ეთიკურ მისწრაფებებს თავისთავად კი არა აქვთ ღირსება, არამედ მხოლოდ მაშინ, როდესაც ის ემთხვევა ქრისტიანული ცხოვრების წესს და მისი გამოვლინება ხდება საქმეებით.

ეკოლოგია და თეოლოგია

ძალიან მნიშვნელოვანია რელიგიური განათლებისა და ეკოლოგიის მიმართება. როგორ ეხმარება რელიგიის გაკვეთილი ეკოლოგიური განათლების მნიშვნელობის ხაზგასმას სკოლებში მოზარდი თაობისათვის. ქრისტიანობამ განსაზღვრა და ხაზი გაუსვა ღმრთის ნების აღსრულებას, რაც მდგომარეობს იმაში, რომ ადამიანმა გამოიყენოს ბუნება თავისი საკუთარი მიზნებისთვის: „ინაყოფიერეთ და გამრავლდით, და აღავსეთ ქვეყანა და დაეუფლეთ მას; და ბატონობდეთ ზღვის თევზებზე და ციურ ფრინველებზე, და ყოველ ცხოველზე, რომელიც კი მიწაზე დაცოცავს.“ (დაბ.1,28).

თუკი ძალაშია მოსაზრება, რომ ეკოლოგიური კრიზისის საფუძველი საძიებელია რელიგიურობაში, მაშინ ეკოლოგიური პრობლემების მოგვარება შეუძლებელია არსებითად მოხდეს რელიგიის გარეშე. ღმერთმა მისცა ადამიანს კურთხევა მიწის დამუშავებაზე.

თუკი პატივისცემა ქმნილებისადმი არის ევქარისტიული და წარმოადგენს მთავარ ჭეშმარიტებას ჩვენი ტარდიციისას, მაშინ ყოველგვარი ეჭვის გარეშე რელიგიის გაკვეთილი შეიძლება იყოს უპირველესი გაკვეთილი ეკოლოგიურ პასუხისმგებლობაზე.

რელიგია და ჯანმრთელობა

ჯანმრთელობის როგორც ფსიქიკური ფენომენის, მისი ფსიქიკური და საზოგადოებრივი მხარის განსაზღვრა, ისეთივე რთულია როგორც ასევე, „იგივე სიცოხლე“. მოსაზრება ჯანმრთელობაზე უკავშირდება იმ წარმოდგენას რომელიც გვაქვს ადამიანზე და სამყაროზე, გავლენას ახდენს მასზე მეცნიერული, ფილოსოფიური, რელიგიური მოსაზრებები და განირჩევა კულტურათა შორის.

მართლმადიდებლურ თეოლოგიაში ნიშანდობლივია სახარებისეული თხრობა და ქრისტეს ჩარევა ავადმყოფთა განკურნებაზე. ნიშანდობლივია რომ ქრისტე არ მიიჩნევს ავადმყოფობას გამოუვალ მდგომარეობად. „ავადმყოფობა არ მოდის ადამიანზე მაგიური ფორმით და აუხსნელი ფორმით, არამედ არის შედეგი განსაზღვრული ცხოვრების წესიდან გამომდინარე“. ქრისტე ერევა მიზანმიმართულად რომ წარუძღვეს ადამიანს ცხოვრების წესისკენ, საუკუნო ცხოვრებისაკენ. „არც მე განგსჯი შენ; წადი და ამიერიდან ნულარ სცოდავ.“ (ინ.8,11).

ჯანმრთელობაზე ზრუნვის სწავლება არის სასწავლო პროცესი, რომელიც იმისათვის, რომ გახდეს წარმატებული, არ უნდა უგულებელვყოთ რელიგიური ტრადიციები და თეოლოგიური ტექსტები, რომლებიც შეიცავენ უზარმაზარ ანთროპოლოგიურ გამოცდილებას და ცოდნას.

რელიგია და ეკლესია

ეკლესიას, როგორც უდიდეს მასწავლებელს და სამჭედლოს განათლებისას, წმ. იოანე ოქროპირის სიტყვებით რომ ვთქვათ, აქვს უპირველესი დანიშნულება, მოწოდება „ქრისტესგან“ რომ ქრისტეში იხსნას ყოველი ადამიანური სული.

საზოგადოებაში ეკლესია დაკავებულია და ახორციელებს, თავისი მაღლით, მაღალ აღმზდრელობით გავლენას მორწმუნეთა სულებზე. კონკრეტულად თავისი წმინდა სწავლებით (ქადაგება, რელიგიური წიგნები, კატეხიზაციური სკოლები და სხვ) გადასცემს ეკლესიის წევრებს რელიგიის არსაა და ცოდნას მის შესახებ, ეთიკური თუ საზოგადოებრივი შინაარსისას, და სკოლასთან და ოჯახთან თანამშრომლობით, აღასრულებს თავის მისიას, განსაკუთრებით ბავშვებთან და მოზარდებთან, რელიგიურ რწმენაში და ცხოვრებაში.

ეკლესიის უმთავრესი მიზანი არის ადამიანისთვის მარადიული სიტყვის მიწოდება, მსახურება ადამიანის გამოხსნისათვის, რომელიც იმსახურება პედაგოგიური მეთოდებისა და საშუალებების დახმარებით. ამდენად შეგვეძლო გვეთქვა, რომ პრაქტიკული საქმიანობა ეკლესიისა ეფუძნება პედაგოგიურ საფუძვლებს.

რელიგიის გაკვეთილი და ადამიანის უფლებები

ძნელად თუ წარმოვიდგენთ ჩვენს მომავალს განსაზღვრული ადამიანური ფორმულირების გარეშე, რომელსაც ვისმენთ „ადამიანის უფლებების სახელით“. თავისუფლება, დემოკრატია, ღია საზოგადოება, სოციალური სამართლიანობა, პლურალიზმი, რელიგიის თავისუფლება, პატივისცემა უმცირესობებისადმი, კულტურათა შორის დიალოგი და მშვიდობა და სხვა. ეს არის ის მხარეები ადამიანობისა ადამიანის უფლებებზე. როგორც არ უნდა ჰქონდეთ ზრუნვა ადამიანზე, ადამიანურ ღირებულებებზე და მის თავისუფლებაზე, მხოლოდ სამართლიანობას და მშვიდობას მოჰყვება ის, რომ დაუკავშირედეს ადამიანის უფლებებს.

➤ დასკვნები

რელიგიის გაკვეთილები თუკი ორგანიზებული იქნება სწორად და ისწავლება სწორად, შეიძლება მან მოგვცეს ბევრი. მათ შორის:

შემოგვთავაზოს სწავლება ზოგადად ადამიანური ფენომენის შესახებ.

ასწავლოს მოსწავლეს, რომ არ გაუიგივოს რელიგია კონსერვატიზმს და სიბნელეს და აღმოაჩინონ ის განმახლებელი ძალები რომელსაც ის ირეკლავს, შეიცავს.

დაეხმაროს მოსწავლეს, რომ გაუმკლავდეს თანამედროვე, ფსევდო რელიგიურ აზროვნებას, გაარჩიოს ჭეშმარიტი რწმენა რელიგიური ფანატიზმისგან, რომლისგან დაშორება არის მთავარი ელემენტი მომწიფებული და კრიტიკული რელიგიურობისა.

უბიძგოს მოსწავლეს, სხვადასხვა რელიგიური რწმენის შესახებ სწავლის შემდეგ, პატივისცემა გამოავლინოს „განსხვავებულის“ მიმართ, ჰქონდეს მზაობა კულტურათა შორისი დიალოგისათვის.

მოამზადდეს ახალგაზრდობა ისეთი დიდი სოციალური, საზოგადოებრივი პრობლემების მოგვარებისთვის, როგორცაა სოციალური უსამართლობა, ეკოლოგიური კრიზისი, ომი.

ხელი შეუწყოს ახალგაზრდებში იყოს მზაობა ადამიანის უფლებებზე ზრუნვისა და დაცვისათვის.

დაეხმაროს მოსწავლეებს, რომ განვითარდნენ და განავითარონ გზა პიროვნული სრულყოფისაკენ.
დაეხმაროს მოსწავლეებს და ახალგაზრდებს ჰქონდეთ კრიტიკული აზრი და მიმართოს ისინი ფილოსოფიური-
ანალიტიკური აზროვნებისკენ, კრიტიკულ კითხვებზე საფიქრელად, რომელიც შეეხება ადამიანურ არსებობას.
ასწავლოს მოსწავლეებს რომ არ დაემონონ დამმონებელ მექანიზმებს თანამედროვე საზოგადოებაში.

პასუხი გასცეს იმ უზარმაზარ და არსებით კითხვებს არსებობის შესახებ, თვით ქრისტიანობაში.
წინ წამოსწიოს ის უმთავრესი საკითხები რომელიც უმთავრესია მართლმადიდებლური ტრადიციისათვის: „პიროვნების
კულტურა“.

ვრცლად წარმოადგენოს რელიგიის როლი კულტურის ჩამოყალიბებაზე და განსაკუთრებით მართლმადიდებლობისა
ქართულ კულტურაში, არამედ ასევე ევროპულში და „კაცობრიობის კულტურულ მეკვიდრეობაში“.
დაეხმაროს მოსწავლეს აღმოაჩინოს და უყვარდეს ჩვენი კულტურული მემკვიდრეობა, რომელიც არის უწყვეტად
დაკავშირებული მართლმადიდებლობასთან და გაიგოს ის სული რომელიც იმყოფება სვეტიცხოვლის, ქართული ხატის,
საღმრთო ლიტურგიის უკან.

დაეხმაროს ახალგაზრდებს რომ გაიგონ მნიშვნელობა მათი საკუთარი პიროვნული მზაობისა და ბრძოლის შესახებ უფრო
უკეთესი და სამართლიანი სამყაროსათვის, განვითარებისათვის და გაჯანსაღებისთვის „სოლიდარობის კულტურისა“.
თუკი ეს ყველაფერი მისაღებია და სწორია მაშინ გაუგებარია სად არის პრობლემა? ან კიდევ, თუკი ეს ყველაფერი არ არის
საჭირო ბავშვისთვის და მისი ნორმალური და ჭეშმარიტი განვითარებისთვის მაშინ არც ერთი გაკვეთილი არ ყოფილა
საჭირო და სავალდებულო.

მადლობა ყურადღებისთვის!